



შირაქი

SHIRAKI

გამოქვეყნდა 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№ 46 (10.151)

14-21 დეკემბერი 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

განათლება, მენარმეობა, შრომა = უკეთეს მომავალს

დედოფლისწყაროს სოფელ სამთაწყაროს სკოლაში სამოქალაქო განათლების მასწავლებლებმა, ნანა გახოკიძემ და ელენე გრიგორიადისმა, განხორციელეს პროექტი: „მენარმეობის განვითარება ძლიერი სოფლის სანინდარია“. სკოლის მოსწავლეებთან ერთად ისინი სამთაწყაროში ახლადშენებულ კაკლის საწარმოს ესტუმრნენ.

ვიზიტისას მონაწილეებმა დაათვალიერეს სოფელში გაშენებული კაკლის ბაღები და კაკლის გადამამუშავებელი ქარხანა. ისინი უშუალოდ გაეცნენ ტექნოლოგიურ პროცესს, რაც მოიცავდა ნერგის გამოყვანას, დარგვას, მოვლა-პატრონობას, მოსავლის აღებას, დამუშავებასა და რეალიზაციისთვის მომზადებას. მენარმე გურამ ნაკაშიძის საქმიანობამ მოზარდები დაარწმუნა, თუ რამდენი შრომა, მოთმინება და პროფესიონალიზმია საჭირო წარმატებული მენარმეობის შესაქმნელად.

მენარმისგან ინტერვიუები თავად მოსწავლეებმა ჩანერეს და მათთვის საინტერესო კითხვები დაუსვეს. გურამ ნაკაშიძემ კი მათ საკუთარი წარმატების ისტორია გაუზიარა.

გურამ ნაკაშიძე: „25 წელი ესპანეთში ვიცხოვრე ოჯახთან ერთად, სამი შვილი მყავს. ამ დღეებში შემეძინა მერვე შვილიშვილი. შვებულების დროს საქართველოში ჩამოვდიოდი ხოლმე, შემდეგ შვილიშვილები რომ წამოიზარდნენ და აქ ჩამომყავდა, ვატყობდი, რომ სოფელში აქაურებთან კომუნიკაცია გაუჭირდათ. ვფიქრობდით, რომ ასე გაგრძელდება არ შეიძლებოდა და საქართველოში დაბრუნება გადავწყვიტე. აქ რაიმე საქმის წამოწყება აუცილებელი იყო. ესპანეთში 16-17 წლის განმავლობაში მუშაობის დანაზოგით მიხდოდა საქართველოში ინვესტირება. ოჯახის 5 წევრი წლების მანძილზე სხვადასხვა სამუშაოებზე ვმუშაობდით. მანამდე ჩემს მეგობარს ჰქონდა კაკლის ბაღი და ვიცოდი ამ კულტურის შესახებ, მისი დახმარებით მეტ-ნაკლებად ვისწავლე მისი მოვლა. საქართველოში გადავწყვიტე ბაღის გაშენება და **ჯერ 20-30 ჰექტარზე ვვარაუდობდი, მაგრამ ამჟამად 83 ჰექტარზე მაქვს ბაღი, ჩანდლარის, ჰოვარდისა და ლარას ჯიშები. სულ 18 800 ძირი დამიგმო.** თავდაპირველად მიწას საგარეჯოში ვყიდულობდი. სწორედ ამ პერიოდში ჩემს მეგობართან ლაშა დევაძესთან ჩავედი მოსანახულებლად, რომელიც დიდი ხნის უნახავი მყავდა. მან მიჩნია და დამარწმუნა, სამთაწყაროში ჩამოვსულიყავი. ვიყიდე ადგილი და ბაღი გავაშენე. ამ პერიოდში მხოლოდ მუ-

შახელზე 2 მილიონი მექნება გაცემული, დასაქმებულთა ნახევარზე მეტი სამთაწყაროს მაცხოვრებელია. სახლი ჯერ სხვაგან ვიყიდე, მაგრამ არ გამოვიდა იქიდან სიარული, ახლა მთელი ოჯახი აქ ვართ, ვშრომობთ და ვცდილობთ განვითარებას. უფლის წყალობით შედეგსაც არ ვუჩივით. მთლიანი ხარჯის დაახლოებით 30% სახელმწიფომ გაიღო, ეს შედეგადაა რომ არ ყოფილიყო, ამ მასშტაბის სამუშაოებს ვერ განვახორციელებდით და შედარებით ნაკლები შედეგი იქნებოდა. **სწორედ სახელმწიფოს დახმარებით შევძელი ფართობის გაზრდაც. აქ უნდა სწორად ის უფალი ფული, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი ჯერ კიდევ 12 წლის წინ დაგვიჩრდა. ამათ ისინი ვერ ბრძანდნენ, ვინც არაფერს აკეთებდა. თუკი რაიმეს ანარმეობა, ამ შედეგს ვაძვირებდით იბრძოდნენ.** აქ 14 ადამიანი ვმუშაობთ მუდმივად, ყო-



ველდლიურ სამუშაოზე სეზონის მიუხედავად, ზამთარ-ზაფხულს. ეს ბაღი 12-ჯერ შევწამლე. ზაფხულში მორწყვა და წამლობა, ზამთარში გასხვლა, მიწის გასწორება. ყოველწლიურად, დაავადებების გამო, 30-50 ძირი ხე იცვლება.

ბი და შემდეგ მეზობელი სოფლებიდან“. კაკლის საწარმოში სტუმრობით კმაყოფილია სკოლაც. „ამ პროექტმა მოსწავლეებში გამოიწვია დიდი ინტერესი და შთაბეჭებით. ისინი არა მხოლოდ გაეცნენ მენარმეობის პრაქტიკულ მხარეებს, არამედ სიღრმისეულად შეიგრძნეს შრომისა და საქმის სიყვარულის მნიშვნელობა. მიღებული ცოდნა მათ მომავალში საკუთარი იდეების განხორციელება-სა და თემის ეკონომიკურ გაძლიერებაში დაეხმარება. განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის ბატონ გურამ ნაკაშიძეს, რომელმაც გულწრფელად გაუზიარა მოსწავლეებს თავისი მრავალწლიანი გამოცდილება და საქმიანობის სიღრმეები, რითაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენში. სკოლის დირექტორმა გულწრფელ მადლობას უხდის პედაგოგებს **ნანა გახოკიძეს, ელენე გრიგორიადისს** და პროექტ-

ში ჩართულ ყველა მოსწავლეს განუული შრომისა და მაღალი მოტივაციისთვის. ამ პროექტმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ერთიანი ძალისხმევით შესაძლებელია ძლიერი და წარმატებული თემის შექმნა, სადაც განათლება, მენარმეობა და შრომა ხელჩაკიდებული მიდინს უკეთესი მომავლისკენ,“ - აღნიშნავენ სამთაწყაროს სკოლაში.

კახეთის რეგიონში კაკლის მწარმოებელთათვის გაცემულია 12 მლნ ლარზე მეტი სესხი. ამის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო იტყობინება. უწყების ცნობით, შეღავათიანი აგროკრედიტით ისარგებლა დედოფლისწყაროს სოფელ სამთაწყაროში კაკლის გადამამუშავებელმა საწარმომ, შპს „რონიმაც“.

ცნობისთვის, კომპანია „რონიმ“ საწარმოს შესაქმნელად 3 მლნ ლარის ინვესტიცია განახორციელა, საიდანაც 500 000 ლარი სოფლის განვითარების სააგენტოს გრანტია, ხოლო 1,200 000 ლარი - შეღავათიანი აგროკრედიტი.

საწარმოს დამფუძნებლის, გურამ ნაკაშიძის განცხადებით, სრული დატვირთვით მუშაობის პირობებში, საწარმოს წარმადობა დღიურად 20-25 ტონა მშრალი კაკლის მიღება იქნება. კომპანია, ამ ეტაპზე, პროდუქციის რეალიზაციას შიდა ბაზარზე ახორციელებს. საწარმოში, აქტიური მუშაობის პერიოდში, 20 ადგილობრივია დასაქმებული. შპს „რონი“ სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ ბენეფიციარიც არის. კომპანიამ 2017 წელს 17 ჰაზე გააშენა კაკლის ბაღი, რისთვისაც სახელმწიფოს მიერ თანადაფინანსება 86,900 ლარის ოდენობით მიიღო.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, გადამამუშავებელი და შენახველი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით, 126 მლნ ლარით თანადაფინანსებულია 270 საწარმოს შექმნა, მათ შორის, კახეთში 23 მლნ ლარითაა თანადაფინანსებული 49 საწარმო.

ილია მარტყოფლიშვილი



გამოიფერა ბაზეთი »შირაქი« მხოლოდ 20 ლარად

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

საჯარო განხილვა გაიმართება 17 ღაქამბარს, 12:00 საათზე, საქრებულს სსლომათა ღარბაზში

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

Table with columns: დასახლება, 2023 წლის ფაქტი, 2024 წლის გეგმა, 2025 წლის პროგნოზი. Rows include მემოსავლები, ხარჯები, and other budget categories.

Table with columns: დასახლება, 2023 წლის 12 თვის ფაქტი, 2024 წლის დაზუსტებული გეგმა, 2025 წლის გეგმა. Rows include მემოსავლები, ხარჯები, and other budget categories.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები

Table with columns: დასახლება, კოდი, 2023 წლის ფაქტი, 2024 წლის გეგმა, 2025 წლის პროგნოზი. Rows include მემოსავლები, ხარჯები, and other budget categories.

Table with columns: დასახლება, 2023 წლის 12 თვის ფაქტი, 2024 წლის დაზუსტებული გეგმა, 2025 წლის გეგმა. Rows include მემოსავლები, ხარჯები, and other budget categories.

Table with columns: დასახლება, 2023 წლის 12 თვის ფაქტი, 2024 წლის დაზუსტებული გეგმა, 2025 წლის გეგმა. Rows include მემოსავლები, ხარჯები, and other budget categories.

Table with columns: დასახლება, 2023 წლის 12 თვის ფაქტი, 2024 წლის დაზუსტებული გეგმა, 2025 წლის გეგმა. Rows include მემოსავლები, ხარჯები, and other budget categories.

Table with columns: დასახლება, კოდი, 2023 წლის ფაქტი, 2024 წლის გეგმა, 2025 წლის პროგნოზი. Rows include მემოსავლები, ხარჯები, and other budget categories.

Table with columns: დასახლება, 2023 წლის 12 თვის ფაქტი, 2024 წლის დაზუსტებული გეგმა, 2025 წლის გეგმა. Rows include მემოსავლები, ხარჯები, and other budget categories.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი

საქონელი და მომსახურება	2.84	0.00	2.84	5.00	0.00	5.00	5.00	0.00	5.00
სხვა ხარჯები	0.00	0.00	0.00	46.13	0.00	46.13	50.00	0.00	50.00
01 02 01 სარეზერვო ფონდი	0.00	0.00	0.00	46.13	0.00	46.13	50.00	0.00	50.00
ხარჯები	0.00	0.00	0.00	46.13	0.00	46.13	50.00	0.00	50.00
სხვა ხარჯები	0.00	0.00	0.00	46.13	0.00	46.13	50.00	0.00	50.00
01 02 03 შესყიდვებთან დაკავშირებული ხარჯი	2.84	0.00	2.84	5.00	0.00	5.00	5.00	0.00	5.00
ხარჯები	2.84	0.00	2.84	5.00	0.00	5.00	5.00	0.00	5.00
საქონელი და მომსახურება	2.84	0.00	2.84	5.00	0.00	5.00	5.00	0.00	5.00
02 00 ინფრასტრუქტურის განვითარება	9933.53	9038.41	895.13	9627.93	6627.56	3000.37	2660.20	0.00	2660.20
ხარჯები	605.64	0.00	605.64	1435.72	503.55	932.17	1000.00	0.00	1000.00
საქონელი და მომსახურება	30.63	0.00	30.63	125.00	0.00	125.00	150.00	0.00	150.00
სუბსიდიები	568.22	0.00	568.22	668.80	0.00	668.80	850.00	0.00	850.00

სხვა ხარჯები	6.79	0.00	6.79	641.92	503.55	138.37	0.00	0.00	0.00
პროგრამული აქტივების ზრდა	9327.90	9038.41	289.49	8192.21	6124.01	2068.20	1660.20	0.00	1660.20
02 01 ინფრასტრუქტურის განვითარება	7766.83	7611.60	155.23	5591.50	5107.80	483.70	550.00	0.00	550.00
ხარჯები	30.63	0.00	30.63	125.00	0.00	125.00	150.00	0.00	150.00
საქონელი და მომსახურება	30.63	0.00	30.63	125.00	0.00	125.00	150.00	0.00	150.00
პროგრამული აქტივების ზრდა	7736.20	7611.60	124.60	5466.50	5107.80	358.70	400.00	0.00	400.00
02 01 01 გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია	7766.83	7611.60	155.23	5591.50	5107.80	483.70	550.00	0.00	550.00
ხარჯები	30.63	0.00	30.63	125.00	0.00	125.00	150.00	0.00	150.00
საქონელი და მომსახურება	30.63	0.00	30.63	125.00	0.00	125.00	150.00	0.00	150.00
პროგრამული აქტივების ზრდა	7736.20	7611.60	124.60	5466.50	5107.80	358.70	400.00	0.00	400.00

02 02 წყლის სისტემების განვითარება	144.11	49.64	94.47	431.83	265.63	166.20	370.00	0.00	370.00
ხარჯები	20.02	0.00	20.02	36.70	0.00	36.70	50.00	0.00	50.00
სუბსიდიები	20.02	0.00	20.02	36.70	0.00	36.70	50.00	0.00	50.00
პროგრამული აქტივების ზრდა	124.09	49.64	74.45	395.13	265.63	129.50	320.00	0.00	320.00
02 02 01 წყლის სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია	10.03	10.03	0.00	25.03	16.63	8.40	0.00	0.00	0.00
პროგრამული აქტივების ზრდა	10.03	10.03	0.00	25.03	16.63	8.40	0.00	0.00	0.00
02 02 02 წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	32.25	0.00	32.25	67.10	0.00	67.10	70.00	0.00	70.00
ხარჯები	20.02	0.00	20.02	36.70	0.00	36.70	50.00	0.00	50.00
სუბსიდიები	20.02	0.00	20.02	36.70	0.00	36.70	50.00	0.00	50.00
პროგრამული აქტივების ზრდა	12.23	0.00	12.23	30.40	0.00	30.40	20.00	0.00	20.00

02 02 03 საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია	101.84	39.61	62.22	339.70	249.00	90.70	300.00	0.00	300.00
პროგრამული აქტივების ზრდა	101.84	39.61	62.22	339.70	249.00	90.70	300.00	0.00	300.00
02 03 გარე-განათება	580.59	28.49	552.10	749.71	77.91	671.80	1000.00	0.00	1000.00
ხარჯები	548.20	0.00	548.20	632.10	0.00	632.10	800.00	0.00	800.00
სუბსიდიები	548.20	0.00	548.20	632.10	0.00	632.10	800.00	0.00	800.00
პროგრამული აქტივების ზრდა	32.38	28.49	3.89	117.61	77.91	39.70	200.00	0.00	200.00
02 03 01 გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	548.20	0.00	548.20	632.10	0.00	632.10	800.00	0.00	800.00
ხარჯები	548.20	0.00	548.20	632.10	0.00	632.10	800.00	0.00	800.00
სუბსიდიები	548.20	0.00	548.20	632.10	0.00	632.10	800.00	0.00	800.00
პროგრამული აქტივების ზრდა	0.00	0.00	0.00	7.90	0.00	7.90	0.00	0.00	0.00
02 03 02 გარე განათების მოწყობა	32.38	28.49	3.89	109.71	77.91	31.80	200.00	0.00	200.00

პროგრამული აქტივების ზრდა	32.38	28.49	3.89	109.71	77.91	31.80	200.00	0.00	200.00
02 04 მუნიციპალიტეტის მშენებლობა-რეაბილიტაცია	6.79	0.00	6.79	3.87	0.00	3.87	0.00	0.00	0.00
ხარჯები	6.79	0.00	6.79	3.87	0.00	3.87	0.00	0.00	0.00
სხვა ხარჯები	6.79	0.00	6.79	3.87	0.00	3.87	0.00	0.00	0.00
პროგრამული აქტივების ზრდა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
02 04 03 მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია	6.79	0.00	6.79	3.87	0.00	3.87	0.00	0.00	0.00
ხარჯები	6.79	0.00	6.79	3.87	0.00	3.87	0.00	0.00	0.00
სხვა ხარჯები	6.79	0.00	6.79	3.87	0.00	3.87	0.00	0.00	0.00
პროგრამული აქტივების ზრდა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00

კეთილმოწყობა	1435.22	1348.67	86.54	2851.02	1176.22	1674.80	740.20	0.00	740.20
ხარჯები	0.00	0.00	0.00	638.05	503.55	134.50	0.00	0.00	0.00
საქონელი და მომსახურება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სხვა ხარჯები	0.00	0.00	0.00	638.05	503.55	134.50	0.00	0.00	0.00
პროგრამული აქტივების ზრდა	1435.22	1348.67	86.54	2212.97	672.67	1540.30	740.20	0.00	740.20
03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა	1180.99	0.00	1180.99	1728.70	0.00	1728.70	3154.10	0.00	3154.10
ხარჯები	1171.01	0.00	1171.01	1723.10	0.00	1723.10	3154.10	0.00	3154.10
სუბსიდიები	1171.01	0.00	1171.01	1723.10	0.00	1723.10	3154.10	0.00	3154.10
პროგრამული აქტივების ზრდა	9.98	0.00	9.98	5.60	0.00	5.60	0.00	0.00	0.00
03 01 დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1159.92	0.00	1159.92	1694.70	0.00	1694.70	3120.10	0.00	3120.10
ხარჯები	1149.95	0.00	1149.95	1689.10	0.00	1689.10	3120.10	0.00	3120.10
სუბსიდიები	1149.95	0.00	1149.95	1689.10	0.00	1689.10	3120.10	0.00	3120.10
პროგრამული აქტივების ზრდა	9.98	0.00	9.98	5.60	0.00	5.60	0.00	0.00	0.00

03 02 მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	21.06	0.00	21.06	34.00	0.00	34.00	34.00	0.00	34.00
ხარჯები	21.06	0.00	21.06	34.00	0.00	34.00	34.00	0.00	34.00
სუბსიდიები	21.06	0.00	21.06	34.00	0.00	34.00	34.00	0.00	34.00
04 00 განათლება	3195.01	468.47	2726.53	3509.00	392.60	3116.40	4000.00	0.00	4000.00
ხარჯები	2945.03	262.44	2682.59	3449.25	377.60	3071.65	4000.00	0.00	4000.00
საქონელი და მომსახურება	262.44	262.44	0.00	417.60	377.60	40.00	0.00	0.00	0.00
სუბსიდიები	2682.59	0.00	2682.59	3031.65	0.00	3031.65	4000.00	0.00	4000.00
პროგრამული აქტივების ზრდა	249.97	206.03	43.94	59.75	15.00	44.75	0.00	0.00	0.00
04 01 სკოლამდელი განათლება	2769.12	42.59	2726.53	3091.40	15.00	3076.40	4000.00	0.00	4000.00
ხარჯები	2682.59	0.00	2682.59	3031.65	0.00	3031.65	4000.00	0.00	4000.00
სუბსიდიები	2682.59	0.00	2682.59	3031.65	0.00	3031.65	4000.00	0.00	4000.00
პროგრამული აქტივების ზრდა	86.53	42.59	43.94	59.75	15.00	44.75	0.00	0.00	0.00
04 01 01 სკოლამდელი განათლება	2690.88	0.00	2690.88	3072.00	0.00	3072.00	4000.00	0.00	4000.00
ხარჯები	2682.59	0.00	2682.59	3031.65	0.00	3031.65	4000.00	0.00	4000.00
სუბსიდიები	2682.59	0.00	2682.59	3031.65	0.00	3031.65	4000.00	0.00	4000.00

პროგრამული აქტივების ზრდა	8.29	0.00	8.29	40.35	0.00	40.35	0.00	0.00	0.00
04 01 02 სკოლამდელი განათლება (პროგრამული აქტივი)	78.24	42.59	35.65	19.40	15.00	4.40	0.00	0.00	0.00
პროგრამული აქტივების ზრდა	78.24	42.59	35.65	19.40	15.00	4.40	0.00	0.00	0.00
04 02 ზოგადი განათლება	425.88	425.88	0.00	417.60	377.60	40.00	0.00	0.00	0.00
ხარჯები	262.44	262.44	0.00	417.60	377.60	40.00	0.00	0.00	0.00
საქონელი და მომსახურება	262.44	262.44	0.00	417.60	377.60	40.00	0.00	0.00	0.00
პროგრამული აქტივების ზრდა	163.44	163.44	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
05 00 კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2344.55	992.73	1351.82	3164.44	1479.24	1685.20	1820.10	0.00	1820.10
ხარჯები	1335.13	0.00	1335.13	1529.70	0.00	1529.70	1620.10	0.00	1620.10
საქონელი და მომსახურება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სუბსიდიები	1335.13	0.00	1335.13	1529.70	0.00	1529.70	1620.10	0.00	1620.10

პროგრამული აქტივების ზრდა	1009.42	992.73	16.69	1634.74	1479.24	155.50	200.00	0.00	200.00
05 01 სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1350.11	992.73	357.39	1987.14	1479.24	507.90	565.60	0.00	565.60
ხარჯები	340.70	0.00	340.70	365.60	0.00	365.60	365.60	0.00	365.60
საქონელი და მომსახურება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სუბსიდიები	340.70	0.00	340.70	365.60	0.00	365.60	365.60	0.00	365.60
პროგრამული აქტივების ზრდა	1009.42	992.73	16.69	1621.54	1479.24	142.30	200.00	0.00	200.00
05 01 01 სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა	1188.97	992.73	196.24	1987.14	1479.24	507.90	565.60	0.00	565.60
ხარჯები	179.55	0.00	179.55	365.60	0.00	365.60	365.60	0.00	365.60
საქონელი და მომსახურება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სუბსიდიები	179.55	0.00	179.55	365.60	0.00	365.60	365.60	0.00	365.60
პროგრამული აქტივების ზრდა	1009.42	992.73	16.69	1621.54	1479.24	142.30	200.00	0.00	200.00

05 01 01 02 სპორტული დარბაზების/მოდერნიზაციის მშენებლობა	1009.42	992.73	16.69	1521.54	1479.24	42.30	200.00	0.00	200.00
ხარჯები	0.00	0.00							

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი

არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
05 02 კულტურის განვითარების ხელშეწყობა	856.97	0.00	856.97	1009.70	0.00	1009.70	1076.90	0.00	1076.90
ხარჯები	856.97	0.00	856.97	996.50	0.00	996.50	1076.90	0.00	1076.90
სუბსიდიები	856.97	0.00	856.97	996.50	0.00	996.50	1076.90	0.00	1076.90
არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	0.00	0.00	13.20	0.00	13.20	0.00	0.00	0.00
05 02 01 კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	825.54	0.00	825.54	1009.70	0.00	1009.70	1076.90	0.00	1076.90
ხარჯები	825.54	0.00	825.54	996.50	0.00	996.50	1076.90	0.00	1076.90
სუბსიდიები	825.54	0.00	825.54	996.50	0.00	996.50	1076.90	0.00	1076.90
არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	0.00	0.00	13.20	0.00	13.20	0.00	0.00	0.00
05 02 01 01 ა(ა)იპ "დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის" ადგილობრივი ხარჯები	33.89	0.00	33.89	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ხარჯები	33.89	0.00	33.89	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სუბსიდიები	33.89	0.00	33.89	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
05 02 01 02 კულტურის სახლები	115.73	0.00	115.73	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ხარჯები	115.73	0.00	115.73	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სუბსიდიები	115.73	0.00	115.73	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
05 02 01 03 ბიბლიოთეკები	32.43	0.00	32.43	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ხარჯები	32.43	0.00	32.43	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სუბსიდიები	32.43	0.00	32.43	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
05 02 01 04 მუზეუმები	17.58	0.00	17.58	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ხარჯები	17.58	0.00	17.58	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სუბსიდიები	17.58	0.00	17.58	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
05 02 01 05 ძეგლთა დაცვის ხარჯები	3.50	0.00	3.50	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ხარჯები	3.50	0.00	3.50	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სუბსიდიები	3.50	0.00	3.50	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
05 02 01 06 ა(ა)იპ "დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელოვნების სახლი"	187.23	0.00	187.23	228.70	0.00	228.70	230.00	0.00	230.00
ხარჯები	187.23	0.00	187.23	228.70	0.00	228.70	230.00	0.00	230.00
სუბსიდიები	187.23	0.00	187.23	228.70	0.00	228.70	230.00	0.00	230.00
05 02 01 07 ა(ა)იპ "დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კამლეთ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლა"	92.03	0.00	92.03	108.20	0.00	108.20	120.00	0.00	120.00
ხარჯები	92.03	0.00	92.03	106.60	0.00	106.60	120.00	0.00	120.00
სუბსიდიები	92.03	0.00	92.03	106.60	0.00	106.60	120.00	0.00	120.00
არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	0.00	0.00	1.60	0.00	1.60	0.00	0.00	0.00
05 02 01 08 ადმინისტრაციის ხარჯი (ახალი)	41.47	0.00	41.47	83.40	0.00	83.40	161.10	0.00	161.10
ხარჯები	41.47	0.00	41.47	83.40	0.00	83.40	161.10	0.00	161.10
სუბსიდიები	41.47	0.00	41.47	83.40	0.00	83.40	161.10	0.00	161.10
05 02 01 09 კულტურის სახლები (ახალი)	131.32	0.00	131.32	310.80	0.00	310.80	267.20	0.00	267.20
ხარჯები	131.32	0.00	131.32	307.20	0.00	307.20	267.20	0.00	267.20
სუბსიდიები	131.32	0.00	131.32	307.20	0.00	307.20	267.20	0.00	267.20
არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	0.00	0.00	3.60	0.00	3.60	0.00	0.00	0.00
05 02 01 10 ბიბლიოთეკები (ახალი)	42.38	0.00	42.38	84.40	0.00	84.40	84.40	0.00	84.40
ხარჯები	42.38	0.00	42.38	84.40	0.00	84.40	84.40	0.00	84.40
სუბსიდიები	42.38	0.00	42.38	84.40	0.00	84.40	84.40	0.00	84.40
05 02 01 11 მუზეუმები (ახალი)	26.29	0.00	26.29	54.70	0.00	54.70	54.70	0.00	54.70
ხარჯები	26.29	0.00	26.29	54.70	0.00	54.70	54.70	0.00	54.70
სუბსიდიები	26.29	0.00	26.29	54.70	0.00	54.70	54.70	0.00	54.70
05 02 01 12 ძეგლთა დაცვის ხარჯები (ახალი)	4.11	0.00	4.11	9.50	0.00	9.50	9.50	0.00	9.50
ხარჯები	4.11	0.00	4.11	9.50	0.00	9.50	9.50	0.00	9.50
სუბსიდიები	4.11	0.00	4.11	9.50	0.00	9.50	9.50	0.00	9.50
05 02 01 13 კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა (ახალი)	97.58	0.00	97.58	130.00	0.00	130.00	150.00	0.00	150.00
ხარჯები	97.58	0.00	97.58	122.00	0.00	122.00	150.00	0.00	150.00
სუბსიდიები	97.58	0.00	97.58	122.00	0.00	122.00	150.00	0.00	150.00
არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	0.00	0.00	8.00	0.00	8.00	0.00	0.00	0.00
05 02 02 კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	31.43	0.00	31.43	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ხარჯები	31.43	0.00	31.43	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სუბსიდიები	31.43	0.00	31.43	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00

05 03 საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	22.39	0.00	22.39	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ხარჯები	22.39	0.00	22.39	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სუბსიდიები	22.39	0.00	22.39	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
05 04 პრესის მომსახურების ღონისძიებები	80.00	0.00	80.00	85.00	0.00	85.00	95.00	0.00	95.00
ხარჯები	80.00	0.00	80.00	85.00	0.00	85.00	95.00	0.00	95.00
სუბსიდიები	80.00	0.00	80.00	85.00	0.00	85.00	95.00	0.00	95.00
05 05 საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა (ახალი)	35.07	0.00	35.07	82.60	0.00	82.60	82.60	0.00	82.60
ხარჯები	35.07	0.00	35.07	82.60	0.00	82.60	82.60	0.00	82.60
სუბსიდიები	35.07	0.00	35.07	82.60	0.00	82.60	82.60	0.00	82.60
06 00 ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	872.69	0.00	872.69	1194.70	0.00	1194.70	1532.40	0.00	1532.40
ხარჯები	872.69	0.00	872.69	1194.70	0.00	1194.70	1532.40	0.00	1532.40
სუბსიდიები	496.61	0.00	496.61	565.30	0.00	565.30	631.40	0.00	631.40
სოციალური უზრუნველყოფა	360.29	0.00	360.29	608.40	0.00	608.40	880.00	0.00	880.00
სხვა ხარჯები	15.79	0.00	15.79	21.00	0.00	21.00	21.00	0.00	21.00
არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
06 01 ჯანდაცვის პროგრამები	129.82	0.00	129.82	181.00	0.00	181.00	196.40	0.00	196.40
ხარჯები	129.82	0.00	129.82	181.00	0.00	181.00	196.40	0.00	196.40
სუბსიდიები	129.82	0.00	129.82	181.00	0.00	181.00	196.40	0.00	196.40
არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
06 01 01 ჯანდაცვის მუნიციპალიტეტის პროგრამა	129.82	0.00	129.82	181.00	0.00	181.00	196.40	0.00	196.40
ხარჯები	129.82	0.00	129.82	181.00	0.00	181.00	196.40	0.00	196.40
სუბსიდიები	129.82	0.00	129.82	181.00	0.00	181.00	196.40	0.00	196.40
არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
06 02 სოციალური პროგრამები	742.87	0.00	742.87	1013.70	0.00	1013.70	1336.00	0.00	1336.00
ხარჯები	742.87	0.00	742.87	1013.70	0.00	1013.70	1336.00	0.00	1336.00
სუბსიდიები	366.79	0.00	366.79	384.30	0.00	384.30	435.00	0.00	435.00
სოციალური უზრუნველყოფა	360.29	0.00	360.29	608.40	0.00	608.40	880.00	0.00	880.00
სხვა ხარჯები	15.79	0.00	15.79	21.00	0.00	21.00	21.00	0.00	21.00
06 02 01 სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	447.24	0.00	447.24	700.00	0.00	700.00	985.00	0.00	985.00
ხარჯები	447.24	0.00	447.24	700.00	0.00	700.00	985.00	0.00	985.00
სუბსიდიები	71.15	0.00	71.15	71.60	0.00	71.60	85.00	0.00	85.00
სოციალური უზრუნველყოფა	360.29	0.00	360.29	608.40	0.00	608.40	880.00	0.00	880.00
სხვა ხარჯები	15.79	0.00	15.79	20.00	0.00	20.00	20.00	0.00	20.00
06 02 02 ა(ა)იპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის დედოფლისწყაროს სათნოების სახლი	295.64	0.00	295.64	312.70	0.00	312.70	350.00	0.00	350.00
ხარჯები	295.64	0.00	295.64	312.70	0.00				

ნინო ზალდასტანიშვილი - არტისტი ზემო მარხაანთან

„შირაქმა“ დამსახურებული არტისტის უნიკალური ფოტოები და ჩანაწერები მოიპოვა

მსახიობი ნინო ზალდასტანიშვილი დაიბადა 1920 წლის 18 ნოემბერს ზემო მარხაანში. 1960 წელს დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა. მისი ფოტოსურათი არც თეატრალურ საზოგადოებას და არც „თეატრალური კალენდარს“ არ გააჩნია. ამიტომ, ბიოგრაფიულ ცნობებს ფოტო არსად ახლავს. თუმცა, გაზეთმა „შირაქმა“ თეატრალური ინსტიტუტის დამამთავრებელი კურსის საერთო ფოტო მოიპოვა, სადაც ზალდასტანიშვილი კურსელებთან და პედაგოგებთან ერთად ჩანს, მათ შორისაა ნატო ვაჩნაძე და მედეა ჩახავა. ასევე „შირაქმა“ მოიპოვა სიღნაღის თეატრის სცენაზე გადაღებული ერთ-ერთი ფოტო, სადაც მისი სახე კარგად ჩანს.

1930-1938 წწ. სწავლობდა თბილისის მე-14 შრომის სკოლაში, შემდეგ დაამთავრა მე-3 საცდელ-საჩვენებელი სკოლა; 1938-1942 წწ. სწავლობდა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტზე.

1943 წელს მუშაობდა დაიწყო თბილისში, რადიოკომიტეტში დიქტორად, სადაც რამდენიმე გადაცემას უძღვებოდა; 1943-1951 წწ. იყო სიღნაღის თეატრის მსახიობი, სადაც არაერთი საინტერესო სახე შექმნა და ამასთანავე, როგორც რეჟისორმა, განხორციელა ორი დადგმა: ანანიაშვილის „მესხეთის მინაზე“ და ნ. ნაკაშიძის „ვინ

რეჟისორი და თეატრის ხელმძღვანელი მიხაილ იარალი, რომელიც სპექტაკლებს დგამდა ნითელწყაროში, სიღნაღსა და ლაგოდეხში, მის მიერ 1972 წელს გამოცემულ დოკუმენტურ წიგნში ბევრ საინტერესო დეტალს იხსენებს და საარქივო ამონარიდებიც მოჰყავს. მათ შორის ის გადმოგვცემს ცნობებს ნინო ზალდასტანიშვილის შესახებ. გთავაზობთ ამონარიდებს:

„ყოფილ სიღნაღის მაზრის თეატრალურ ტრადიციებზე ცოტა დაწერილა. წლების მანძილზე ვმუშაობდი სიღნაღის, აგრეთვე მისი ყოფილი მაზრის „დიდი დასახლებული პუნქტების: ლაგოდეხის, ნითელწყაროსა და ველისციხის თეატრებში მსახიობად რეჟისორად და თეატრის ხელმძღვანელად. როგორც მკვიდრი სიღნაღელი და მისი პატრიოტი გულდასმით ვაკვირდებოდი და ვაგროვებდი მასალას (აფიშებს პროგრამებს, რეცენზიებს და სხვა) ამ შესანიშნავი მხარის თეატრალურ და კულტურულ ცხოვრებაზე. და აი, დღეს ჩემი დაკვირვება და მოპოვებული მასალა საფუძვლად დაედო წინამდებარე ნაშრომს.

სიღნაღის მაზრა ერთ-ერთი დიდი მაზრა იყო საქართველოში. 1892 წელს სიღნაღის მაზრის უფროსი თბილისის გუბერნატორს წერდა: „...ჩემდამი რწმუნებულ მაზრაში არ არსებობს განსაკუთრებული გასართობი ადგილები: იმართება სპექტაკლები საქველმოქმედო მიზნით და ქალაქ სიღნაღში არის ერთი კლუბი, მას ჰყავს 68 წევრი, რომელთაგან ყოველწლიურად შემოდის 8 მანეთი სანევრო გადასახადი. მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის თბილისის გრენადერის პოლკის შტაბ-ბინაში ლაგოდეხში და ტვერის ცხენოსანთა პოლკის შტაბ-ბინაში დედოფლის წყაროში აქვთ სამხედრო საკრებულოები. რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნულ საკრებულოებში ღონისძიებები რუსულ ენაზე ხორციელდებოდა, რასაც იმდროინდელი აფიშები, პროგრამები და პრესის ცნობები ადასტურებენ.

1930 წელს ყოფილ სიღნაღის მაზრაში 7 მძლავრი თეატრალური კოლექტივი მუშაობდა: ქვემო მარხაანში მსახიობების ნინო ნინონისა და გიგა მატარაძის ხელმძღვანელობით; ნითელწყაროში — საქნავთის მუშათა კლუბის თეატრალური კოლექტივი ი. ავტალიძის ხელმძღვანელობით; იდგმებოდა: „მსხვერპლი“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „მეზობლები“, „გაჭირვების ტალღები“, „სიმამხინჯე“, „სულელი“, „რღვევა“ და სხვა ძველი და ახალი პიესები.

1933 წლის აპრილში სიღნაღის თეატრის აგიტმანატორული ბრიგადა სპეციალური პროგრამით შირაქის მინდვრებში გაემგზავრა საგაზაფხულო თესვის კამპანიის დროს კოლმეურნეთა კულტურული მომსახურებისათვის. **ნითელწყაროსა და ლაგოდეხს რაინიგზა არ უდგაოდა და არტისტებს შირაქში სწორად ჩამოსვლა.**

1940-41 წლის სეზონში სიღნაღის თეატრის

არის დამნაშავე“; ოფიციალური ცნობებით, რომელიც ხელოვნების კალენდარშია დაცული, იგი შემდეგ გადადის სამეგრელოში, 1951-1955 წწ. ზუგდიდის, ხოლო 1955 წლიდან გორის თეატრის მსახიობი იყო. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: რუსუდანი (მ. ჯაფარიძის „ყამთაბერის ასული“), მარინე (ვ. გუნიას „და-ძმა“), ძიძია (ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“), ჯენევერა (გოუსა და დოუსოს



მუშაში ნინო ზალდასტანიშვილი 1942 წ.

„ღრმა ფეხვები“), პირიმისა და პირიმთვარისა (ა. ნერეთლის „ბაში-აჩუკი“), ნელი (გ. ქელბაქიანის „დავით აღმაშენებელი სინანული“), მარფა (ვ. დარასელის „კიკვიძე“), ესმა (გ. ნერეთლის „პირველი ნაბიჯი“), ქეთევანი (დ. ერისთავის „სამშობლო“), ასია (უ. ჰაჯიბეკოვის „არმინ მალ ალან“), მართა (გ.

ტრს კვლავ ს. მეტურიშვილი და ვ. სიფრაშვილი ხელმძღვანელობდნენ. დასს შემატყენ მსახიობები. განასახლებული იქნა ნინა სეზონის თითქმის ყველა სპექტაკლი. სეზონი მეტად ნაყოფიერი იყო, მაგრამ მოუსწრო სამამულო ომმა. ბევრი მსახიობი ფრონტზე წავიდა, თეატრებს დოტაცია მოეხსნათ. საჭირო იყო ახლებურად მუშაობა.

1942 წლის 3-დან 11 ოქტომბრამდე,



„ყამთაბერის ასული“; რუსუდანი - ნინო ზალდასტანიშვილი; უფლისწული - გ. დენისაშვილი. სიღნაღი

სამამულო ომის პირველი სეზონის რეპერტუარით, თეატრი საგასტროლოდ გაემგზავრა ნითელწყაროში, სადაც 7 წარმოდგენა გამართა, ხოლო საქნავთის მირზანის სარენაოს კლუბში ერთი საღამო-კონცერტი ქართულ და რუსულ ენებზე. ამ გასტროლების გამო საქართველოს კომუნისტური პარტიის ნითელწყაროს რაიკომის ოფიციალურ დახასიათებაში ნათქვამია: „...თეატრის მიერ ნაჩვენებმა წარმოდგენებმა და კონცერტმა მასობრივებში დიდი ინტერესი გამოიწვია და კარგი იქნება რომ თეატრის კოლექტივმა შემდგომშიც მოახდინოს ჩვენს რაიონში ასეთი გასტროლები“.

საგასტროლო სპექტაკლები იმართებოდა საქნავთის მუშათა კლუბის კეთილმოწყობილ სცენაზე. საქნავთის ტრესტის



აგიტბრიგადა, თეატრის დასი შირაქში 1930-იანი წლები

ერისთავის „ყვარყვარე ათაბაგი“), კრუჩინა (ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“), ლუიზა (ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“), ლიდა (ა. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩტი“), ზეინაბი (ა. სუმბათაშვილის „ლალატი“), ფატი (ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე“), ნინა (მ. ლერმონტოვის „მასკარადი“) და სხვა.

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ თხოვნით და ადგილობრივი მონივრე ინტელიგენციის დახმარებით ა. ახმეტელმა ქვემო მარხაანის სკოლის დარბაზში დადგა ა. სუმბათაშვილის „ლალატი“, რომელშიც მონაწილეობდნენ: ანიკო ჯანყარაშვილი (ზეინაბი), ვასო ალულოშვილი (ოთარ ბეგი), ტარას ბალაშვილი (სულეიმან ხანი), ნიკო კობიაშვილი (დათო), რომან ნასიძე (ერეკლე), ნინო ზალდასტანიშვილი (მაიკო), მარო როსტომიშვილი (გაიანე), ქეთო ზალდასტანიშვილი (ისახარი), სოფო ბოსტაშვილი (რუქაია) და სხვა. როგორც ამ სიიდან ჩანს, წარმოდგენაში მონაწილეობდნენ არა მარტო ქვემო მარხაანის არამედ ზემო მარხაანის, მირზანის, არბოშიკის, ჯუგაანის, ბოდბისხევისა და ქვემო ქიზიყის სხვა სოფლების სცენისმოყვარეებიც, რომელთაგან ზოგიერთი შემდგომ სიღნაღის თეატრის ნამყვანი მსახიობი გახდა. აღნიშნული წარმოდგენის შესახებ გაზეთ „ცნობის ფურცელში“ 1910 წ. №90-ში დაბეჭდილია რეცენზია, რომელიც მთლიანად მოგვყავს:

მმართველის მიერ ხელმოწერილ დახასიათებაში წერია: „...ყველა წარმოდგენას დიდხალ ხალხი ესწრებოდა, მათ შორის საქნავთის მუშების უმრავლესობა და დიდი კმაყოფილება გამოიწვია თეატრის მუშაობამ მოსახლეობაში, რომელიც ამ დიდ სამამულო ომის პერიოდში, რომელსაც მთელი ჩვენი ხალხი ეწევა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, აწარმოებს დიდ მუშაობას მამულისათვის. მიუხედავად შემოქმედებითი ძალების ნაკლებობისა, ყველა მსახიობი, როგორც უფროსი თაობა, ისე ახალგაზრდობა განსაკუთრებული მონდომებით და დამაჯერებლობით ასრულებენ თავიანთ როლებს და სპექტაკლების მხატვრულ მთლიანობას უწყობენ ხელს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართულმა თეატრმა გამოსათხოვარ საღამოზე ნითელწყაროში, ანგარში გაუწია რუს მოსახლეობას და მათ აჩვენა მხატვრულად გამართლებული სცენები და დელამაცია რუსულ ენაზე. საქნავთის მუშათა კოლექტივის სახელით გამოვთქვამთ რა კმაყოფილებას თეატრის ასეთი ნაბიჯისადმი, გამოვთქვამთ სურვილს, რომ სისტემატურად ესტუმროს ხოლმე ჩვენს მუშებს, რითაც მოგვცემს სამუალებას რომ ჩვენც სათანადოდ შევწყუთ ხელი და შევაფასოთ მათი ნაყოფიერი, აღმზრდელი მუშაობა“

დაზურვამდე მისულმა სიღნაღის თეატრმა ფრთები გაშალა, ომის დაწყების პირველსავე სეზონში უდოტაცოდ მომსახურებას უწყევდა სიღნაღისა და ნითელწყაროს რაიონების მშრომელებს. თეატრის რეპერტუარი სამამულო ომის, პატრიოტულ თემებზე დაწერილი პიესებისაგან შედგებოდა. სიღნაღის თეატრის პირველი გასტროლების წარმატებამ კარგი ნაყოფი გამოიღო. ნითელწყაროდან გადმოვიდა ცეცხლისმოყვარე რევაზ გონაშვილი, რომელიც არ შეუშინდა სამეურნეო ანგარიშზე მყოფი თეატრის სიძნელეებს, დასძი ჩაირიცხა და რეჟისორის თანამშემის მოვალეობაც იტვირთა.

გასტროლებიდან დაბრუნებისთანავე თეატრი შეუდგა მზადებას მომავალი 1942-43 წლის სეზონისათვის. დასს შემატყა საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი, ჩვენი რაიონის მკვიდრი ნინო ზალდასტანიშვილი. დაიდგა ვ. გუნიას „და-ძმა“, რომლითაც 1942 წლის 15 ნოემბერს სამამულო ომის პერიოდის მეორე სეზონი

გაიხსნა. მთავარი როლები შემდეგ - ნ ა ი რ ა დ ი ე რ ა ნ ა ნ ი ლ ე - ბ უ ლ ი : ო ტ ი ა - გ . ა ლ ლ ა ძ ე , გ ა ი ო ზ ი - გ . დ ე ნ ი -

...ქვემო მარხაანი. 31 ივლისს ადგილობრივ სცენისმოყვარეთა მიერ, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტის ა. ახმეტელის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნა ჩვენი საუკეთესო დრამატურგის ა. სუმბათაშვილის პიესა „ლალატი“. ყველას მოეხსენება რა ძნელია ამ რთული, პასუხსაგები პიესის წარმოდგენა სოფლის მოუწყობელ სცენაზე ამისდა მიუხედავად, წარმოდგენამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე, ეს თეტიკურად დაატკბო იგი და ნასიამოვნები გაგზავნა შინ. დარბაზი საცხე იყო ხალხით და შემოსავალიც სრული. თუმცა უნდა ითქვას, ახალი ტანისამოსის შეკერვას და ახალი დეკორაციების დახატვას დიდი ფული დასჭირდა. დეკორაციები უსასყიდლოდ დახატა სტუდენტმა ნადირაძემ, რისთვისაც მადლობის ღირსია, მხოლოდ განსაკუთრებულის მადლობის ღირსია ხსენებული სტუდენტი, ამ წარმოდგენის რეჟისორი ა. ახმეტელაშვილი, რომელმაც არ დაზოგა თავისი შრომა, რათა ადგილობრივი სცენისმოყვარევი ჯეროვნად მოემზადებინა. სცენისმოყვარეთა შორის მეტი ყურადღება ზეინაბის როლის ამსრულებელმა ა. ჯანყარაშვილმა და სულეიმან ხანის როლის ამსრულებელმა ტ. ბალაშვილმა მიიქციეს. თუმცა დანარჩენ სცენისმოყვარეთაც არა უშავდათ რა და საერთოდ წარმოდგენის ანსამბლს ხელი შეუწყვეს და როლებიც ჩინებულად იცოდნენ“

სამულო, მარინე — ნ. ზალდასტანიშვილი, გაღია — ნ. კოლხიძე, ადამია -- მ. იარალი, ფაშა — ნ. გომელაური, გიორგი — რ. ბერიძე. დამდგელი რეჟისორი მ. იარალი, მხატვარი — გომეტი, კომპოზიტორი ნ. დადიანი. პრემიერას დიდი წარმატება ხვდა ნილად. **ნინო ზალდასტანიშვილი თავისი პირველი სცენური ნაილობა ამ სპექტაკლში, მშობლიურ სიღნაღის თეატრში მიიღო და სამართლიანად ნიჭიერ მსახიობად იქნა აღიარებული. მან მასურებულა დიდი ყურადღება და სიმპათია დაიმსახურა, რაც არაერთხელ აღნიშნულა რაიონულ გაზეთში. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნ. 1943 წელს სიღნაღში დაიდგა ცაგარელის ხანუმა, სადაც ნინო ასრულებს სონას როლს.** ახლა (1972 წ) ზალდასტანიშვილი გორის გ. ერისთავის სახ. თეატრის ნამყვანი მსახიობია.

გარდა ამისა, დაიდგა ერთმუქედებიანი პიესები და სპექტრები სამამულო ომის თემაზე. 1942 წლის 14 დეკემბერს თეატრის კოლექტივი მეორედ გაემგზავრა საგასტროლოდ ნითელწყაროში. რეპერტუარში იყო: ვ. გუნიას, „და-ძმა“, რ. ერისთავის „ჯერ დაიხილენ, მერე იქორწინეს“, შ. დადიანის „გეგეჭკორი“ ა. ცაგარელის „ხანუმა“, დანილინისა და რაიმონდის „განგამია, წყნარად“. გაიმართა 14 წარმოდგენა: 10 მოზრდილთათვის, 3 მოსწავლეთათვის და ერთი კონცერტი მირზანის სარენაოს მუშებისათვის რუსულ-ქართულ ენებზე. პიესა „და-ძმა“ ოთხჯერ დაიდგა. რაიკომმა შემდეგი „დახასიათება მისცა თეატრს: „...განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვ. გუნიას „და-ძმა“, რომელმაც თავისი პატრიოტული შინაარსით ააღწერა მასურებელი და დარაზნა ისინი სამშობლოსათვის თავდადებისათვის. აღსანიშნავია ის, რომ სიღნაღის თეატრის კოლექტივმა განსაკუთრებული ავტორიტეტი და სიყვარული დაიმსახურა ნითელწყაროს მოსახლეობაში, სასურველია თეატრმა არ შეანელოს ამ მხრივ მუშაობა და მომავალშიც ჩაატაროს ნითელწყაროში სპექტაკლები“

1943 წლის 6 ივნისიდან 5 ივლისამდე სიღნაღის თეატრი შესამდე გაემგზავრა ნითელწყაროში საგასტროლოდ. გაიმართა 22 წარმოდგენა — 18 ნითელწყაროში, ერთი სამეფო წარმოდგენა მირზანის სარენაოს კლუბში და სამი წარმოდგენა ზემო ქედის კოლმეურნეობის კლუბში. „დაესწრო შვიდი ათასი მასურებელი. არხილოსკალოზე ღია ცის ქვეშ დაიდგა „და-ძმა“. ერთი წარმოდგენის მთელი შემოსავალი და ყველა წარმოდგენის ანარიცხი, სულ 2.652 მანეთი და 80 კაპიკი თეატრმა ფრონტელთა ოჯახების დახმარე ნითელწყაროს სარაიონო ფონდში გადაიტანა. გასტროლების დროს მოამზადა და ნითელწყაროში განახორციელა მორიგი პრემიერა ვ. ბრაციანისა და გ. ტოვსტონოგოვის „ქეი ვერბიციის ცდები“. საქნავთის ხელმძღვანელობამ, მადლობის ნიშნად თეატრს საჩუქრად ორი ტონა ნავთი გაატანა, რაც, მოგვსენებათ, ძნელი საშოვარი იყო ომის პერიოდში.

მოამზადა **ილია მარტყოფიშვილი**მ

ფსიქოლოგიური ენერგია და მისი სწორად მართვა

ფსიქოლოგიური ენერგია — ეს არის ადამიანის ფსიქოლოგიური რესურსების ერთობლივი სახელი, რომელიც აკრებს სხვადასხვა სახის ენერჯის მარაგს. ეს ენერჯი მოიცავს როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქიკურ ენერჯის მარაგს. ფსიქოლოგიური ენერგია მთლიანად დამოკიდებულია ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობაზე და მისი მართვა — ეს არის ფსიქოლოგიური ენერჯის მართვის მექანიზმი.

ფსიქოლოგიური ენერგია მოიცავს სხვადასხვა ასპექტს:

1. **ემოციური ენერგია** — დაკავშირებულია ემოციების გრძობებთან, როგორცაა სიყვარული, შიში, სიხარული, ბრაზი და სხვა. ემოციური ენერგია შეიძლება იყოს განმუხტული ან ბლოკირებული, დამოკიდებულია მათი მართვისა და გამოხატვის გზებზე.

2. **კოგნიტიური ენერგია** — ეს არის მენტალური რესურსები, რომლებიც საჭიროა აზროვნებისთვის, გადაწყვეტილებების მიღებისთვის, პრობლემების გადაჭრისთვის და სხვა. კოგნიტიური ენერგია ხშირად იფარება გადაჭრით და ენერჯის მართვით, რაც გავლენას ახდენს ფიქრის ხარისხზე.

3. **ფიზიკური ენერგია** — ადამიანის სხეული და მისი ფიზიკური რესურსები ასევე დაკავშირებულია ფსიქოლოგიურ ენერჯის მართვასთან. დაღლილობა, სიფხიზლე, ან სხეულის ჯანმრთელობის მდგომარეობა ხშირად ცვლის ემოციურ და მენტალურ მდგომარეობას.

4. **სოციალური ენერგია** — საზოგადოებასთან ურთიერთობის დროს მიღებული მხარდაჭერა ან სირთულეები, რაც ემოციურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს.

